მაგდა თხილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
magda_tkhilava@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.28

სიმღერის როლი ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში

საკვანძო სიტყვები: სიმღერა, მუსიკალური აქტივობა.

სიმღერა ყველა ბავშვის საყვარელი ჟანრია. ის მუდმივად ღიღინებს თამაშისა თუ სხვა აქტივობის დროს. სიმღერას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში. ის ეხმარება მოსმენის კულტურის ფორმირებას, ხელს უწყობს მეხსიერების განვითარებას, სმენისა და ხმის კოორდინაციას...

სიმღერა მუსიკალური აქტივობების ერთ-ერთი მთავარი ფორმაა. საბავშვო ბაღშივე ბავშვებში იქმნება დიდი ინტერესი მუსიკალური აქტივობების მიმართ. სიმღერის შესწავლა შემოქმედებით ინტერპრეტაციას მოითხოვს, რომელიც ავითარებს არა მხოლოდ მუსიკალურ მონაცემებს, არამედ ხელს უწყობს ნაწარმოების მოსმენის კულტურის აღზრდას, მუსიკალური მეხსიერების გააქტიურებას, ყურადღების, წარმოსახვისა და დამოუკიდებლობის უნარის განვითარებას.

მუსიკის გაკვეთილები ეხმარება ბავშვებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, მუსიკალურ მონაცემთა განმტკიცებას, ლექსიკური მარაგის შევსებას, საგუნდო ჩვევების გამომუშავებას, ბავშვები სწავლობენ ბგერათა თანაფარდობას სიმაღლის მიხედვით, დინამიკასა და რიტმში.

მასწავლებელი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ბავშვებს აცნობს სიმღერის დროს გასათვალისწინებელ ქცევის წესებს, რომლებიც ეხმარება მათ წინსვლასა და წარმატებაში. ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, პედაგოგი ტაქტიანად, შეუმჩნევლად აძლევს ბავშვებს შენიშვნას და მშვიდად აბრუნებს მათ სამუშაო გარემოში. ეს განსაკუთრებით ეხება ცელქ მოსწავლეებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ზედმეტი მოძრაობები, თვალების ცეცება, ამხანაგთან გადალაპარაკება, რიტმის კაკუნი... ხშირ შემთხვევაში ასეთი ბავშვები არღვევენ სასიმღერო ჩვევებს, როგორიცაა, ხმაურით სუნთქვა, მხრების მაღლა აწევა, ხმოვნების არამკფიოდ წარმოთქმა... თუმცა მზრუნველ მასწავლებელს ადვილად ემორჩილება მოსწავლე. საინტერესო აქტივობებით დატვირთული გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვებს ცელქობისა და წესების დარღვევისთვის დრო არ რჩებათ. პედაგოგი მოსწავლისთვის წარმოადგენს მაგალითს.

მოსწავლეებს ხშირად შევახსენებთ, რომ იყვნენ პუნქტუალურები და თავაზიანები, შესვენებაზე მოამზადონ საჭირო ნივთები, რათა გაკვეთილზე არ გამოიწვიონ ხმაური. სიმღერის დროს დასხდნენ გამართული, ხელები დაალაგონ მერხზე ან მუხლებზე, დგომის დროს ხელები ჰქონდეთ დაბლა დაშვებული, ფეხები კი მუხლში გამართული. სასიმღერო

სუნთქვა აკონტროლონ რეგისტრების მიხედვით, რათა სხვადასხვა რეგისტრში სიმღერა სხვადასხვაგვარ სუნთქვას მოითხოვს. ავუხსნათ მათ, რომ სიტყვის შუაში მელოდიის გაწყვეტა ყოვლად დაუშვებელია, სიტყვები გამოთქვან მკაფიოდ და გამართულად, ყვირილისა და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, რათა არ დაუზიანდეთ სახმო იოგები. სიმღერის დროს მოამრგვალონ ხმოვანი ბგერები, რაც ხელს შეუწყობს მხატვრულ და კულტურულ შესრულებას. დიქციის სრულყოფისთვის გამოიყენონ ენის გასატეხები, რაც გააუმჯობესებს მეტყველების ორგანოთა არტიკულაციას.

სიმღერაზე მუშაობა მოიცავს ეტაპებს: მასწავლებლის მიერ ბავშვებისთვის სიმღერის გაცნობა ხელს უწყობს ყურადღების მობილიზებას და ინტერესის გაღვივებას არა მხოლოდ სიმღერისადმი, არამედ მუსიკის გაკვეთილისადმი. შემდეგი ეტაპია სიმღერის დამუშავება ფრაზებად და მუსიკალურ წინადადებებად და ბოლოს მთლიანი სიმღერის მხატვრული შესრულება. მაგალითისთვის განვიხილოთ კომპოზიტორ რუსუდან სებისკვერაძის სიმღერა „სამშობლოზე“, რომლის ტექსტის ავტორია ც. ქიტიაშვილი. პირველ რიგში, ჩანაწერის ან ჩვენივე შესრულებით, ვასმენინებთ ბავშვებს სიმღერას. სიმღერის დახასიათებისას და მასზე მსჯელობისას ყურადღებას ვამახვილებთ სამშობლოს თემაზე, მის სიყვარულზე. შემდგომ ვახდენთ სიმღერის გაანალიზებას, სადაც ყველა ბავშვია ჩართული: ვარკვევთ ნაწარმოების ხასიათს (საზეიმო), კილოს (მაჟორული), ზომას (6/8), ტემპს (ცოცხალი, მოძრავი), ერთად განვიხილავთ და ვსაუბრობთ, სიმღერის მელოდიის მღერადობაზე. სიმღერის ტექსტის შინაარსს მოსწავლეებს წინასწარ გავაცნობთ, რადგან მელოდიის შესწავლისას ლექსის შინაარსზე ყურადღება არ გაეფანტოთ. ამის შემდეგ ვიწყებთ მელოდიის შესწავლას სიტყვებთან ერთად. ეს მეთოდი ეხმარება მათ სწრაფად დასწავლაში. მასწავლებელი გაკვეთილზე მისვლამდე, წინასწარ არკვევს სიმღერის მელოდიურ და რიტმულ სირთულეებს და გეგმავს მათი დაძლევის მეთოდებს. სიმღერის სრულად შესწავლის შემდეგ, ჯგუფი შეიძლება გავყოთ ორ გუნდად ან კარგი მონაცემის ბავშვი გამოვყოთ სოლისტად და ვამღეროთ ის გუნდთან ერთად. ეს მეთოდი დიდ ეფექტს და ხალისს სძენს გაკვეთილს. სიმღერის შესრულებისას მნიშვნელოვანია მთელი კლასის ჩართვა სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი მუსიკალური მონაცემებისა.

საბავშვო სიმღერებში ხშირად გვხვდება მოდულაციები და ქტომატიული ნიშნები. ტონალური ცვლილებები გაკვეთილზე ქმნის სირთულეს, რაც მასწავლებლისგან დიდ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს. ამისთვის ის წინასწარ ამზადებს სპეციალურ სავარჯიშოებს, რომელიც შეიძლება იყოს შესასწავლი სიმღერის მოკლე ფრაზები ან პედაგოგის მიერვე შექმნილი მელოდიები, რომლებშიც ჟღერს ზემოთ აღნიშნული პრობლემები, რაც გაუმარტივებს მოსწავლეებს ტონალური სირთულეების დაძლევას.

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს სიმღერის დიაპაზონი. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეთა საერთო დიაპაზონი და სიმღერის დიაპაზონი არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც ითხოვს სიმღერის ტრანსპოზიციას, სადაც დიდია პედაგოგის პასუხისმგებლობა. ერთი უმნიშვნელო შეცდომაც კი, მთლიანად ცვლის მელოდიას.

საინტერესოა წელიწადის დროების თემატიკა. ამისთვის პედაგოგმა საილუსტრაციოდ უნდა გამოიყენოს თემატური მოთხრობები, ლექსები, რეპროდუქციები. მასწავლებელმა ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ ბავშვებმა შეიგრძნონ, მაგალითად შემოდგომის ფერადოვანი, ულამაზესი პეიზაჟი. პედაგოგმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს შესწავლილი სიმღერებისა და ლექსების გახსენება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ გადავდივართ სიმღერის გაცნობაზე. მაგალითად განვიხილოთ მერაბ

მერაბიშვილის მხიარული ხასიათის სიმღერა „შემოდგომა“, რომელიც მაჟორულ კილოშია დაწერილი ზომიერი ტემპით. პედაგოგი განმარტავს სიმღერის შინაარსს, რომ შემობრძანდა კალთაბარაქიანი შემოდგომა, მცენარეებმა დაკარგეს სიმწვანე, ბუნება ლამაზ, მრავალგვარ ფერებშია გახვეული... მოსასმენ მასალად შეიძლება იგივე ავტორის საფორტეპიანო პიესის „შემოდგომის საღამოს“ გამოყენება. ბავშვებს ვთხოვოთ აღნიშნონ მერაბიშვილის ამ ორ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის მსგავსება და განსხვავება, განსაზღვრონ მათი ტემპი, ხასიათი... ვთხოვთ მოსწავლეებს, ამ ორი ნაწარმოების მოსმენის შთაბეჭდილებით მიღებული განწყობა გადმოსცენ ნახატით. შეიძლება გაკვეთილზე გამოვიყენოთ გასაფერადებელი ნახატები და თავიანთი წარმოსახვით, ფერადი ფანქრების გამოყენებით, გააფერადონ სურათი მუსიკის ჟღერადობის ფონზე.

სიმღერაზე მუშაობის დროს საყურადღებოა გარდატეხის ასაკი. ამ პერიოდში ცვლელებები ხდება ვაჟებშიც და გოგონებშიც. ხმაში ცვლილებები დაკავშირებულია ხორხის ზრდასთან. აღნიშნული პროცესი ბიჭებში უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე გოგონებში. მუტაციის პერიოდს ახასიათებს არაზუსტი ინტონირება, ხმაში ჩნდება ხრინწი... მუტაციის დროს საჭიროა რეჟიმის დაცვა.

მასწავლებელი ვალდებულია კარგად იცნობდეს ბავშვის სახმო აპარატს და მის თავისებურებებს. ბავშვის ხმა სპეციფიკურია და განსაკუთრებულ პედაგოგიურ მიდგომას მოითხოვს. სიმღერის შესრულების დროს ზედმეტად ხმის გადატვირთვა ყოვლად დაუშვებელია, რადგან შეიძლება დაზიანდეს სახმო იოგები.

პედაგოგი სახმო აპარატთან ერთად, უნდა ფლობდეს სასუნთქი აპარატის აგებულებას, კარგად ერკვეოდეს მისი მუშაობის პრინციპებში, იცოდეს ხმის ფიზიოლოგიური საფუძვლები... უმცროს ასაკში ბავშვის ხმა სუსტია, მისი განვითარება დაუსრულებელია, არტიკულაციის აპარატიც მოდუნებულია, დიაპაზონიც ძალიან მოკლეა, თუმცა ფიზიკურ ზრდასთან ერთად, დიაპაზონიც იზრდება და ფართოვდება.

სიმღერის დროს სწორად სუნთქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის უნდა შევასრულოთ სპეციალური სუნთქვითი სავარჯიშოები, გამოვიყენოთ სხვადასხვა გრძლიობის ფრაზები, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ხმის ჟღერადობას, ხელს შეუწყობს მუსიკალური აზრის სწორად გადმოცემას... დიდი მნიშვნელობა აქვს გაკვეთილის დასაწყისში ამწყობი სავარჯიშოების შესრულებას გამებით და სამხმოვანებებით. გამების შესრულება ხელს უწყობს სმენის კილოებრივ განვითარებას.

მნიშვნელოვანია სწორი სასიმღერო სუნთქვის გამომუშავება, რომელსაც ემსახურება სპეციალური სუნთქვითი სავარჯიშოები. სწორი სუნთქვითი ჩვევების გამომუშავება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სიმღერის ხარისხიანი შესრულებისა. სასიმღერო სუნთქვის სწორად გამომუშავება რთული პროცესია. ყურადღება უნდა მიექცეს ზომიერ ჩასუნთქვას და ქვედა ნეკნების კარგ აქტივობას. საჭიროა სავარჯიშოების პერიოდული ცვლა, რადგან ერთფეროვნება იწვევს მექანიკურ სიმღერას, რომელსაც არანაირი შედეგი არ მოაქვს.

პატარებში არტიკულაციის აპარატი ნაკლებ მოძრავია, თუმცა ვარჯიშის შედეგად მალე სწორდება უარყოფითი მხარეები. არტიკულაცია ბევრადაა დამოკიდებული პირის ღრუს არქიტექტურულ აგებულებაზე.

სიტყვების სწორად წარმოთქმა ანუ დიქცია ხარისხიანი სიმღერის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რისთვისაც გაკვეთლზე შეიძლება გამოვიყენოთ ენის გასატეხები. ისინი ხელს უწყობენ მეტყველების ორგანოთა არტიკულაციის გაუმჯობესებას. სავარჯიშოები

უნდა შესრულდეს სიმღერის შესწავლამდე, რომლებიც ეხმარება მუსიკალური სმენის განვითარებას, ყურადღების გამახვილებას, სახმო აპარატის მზადყოფნაში მოყვანას.

გარდატეხის ასაკს მრავალი თავისებურება ახასიათებს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია რეპერტუარის სწორად შერჩევა შეცვლილი დიაპაზონის შესაბამისად. ზოგჯერ, ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს სიმღერის დროებით შეწყვეტა. თუ ბავშვის მუტაციის პერიოდი რთულად მიმდინარეობს, საჭიროა ექიმ-ფონეატრის ჩარევა. ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის ხმის ბუნებრივი ჟღერადობის შენარჩუნებას, სიმღერის გამომსახველად შესრულებას, მეტყველებაში დეფექტების აღმოფხვრას, მუსიკალური სმენის გაუმჯობესებას, სწორად ინტონირებას, რიტმის გრძნობის განვითარებას... მუტაციის პერიოდში ბავშვებს ფსიქიკაც ეცვლებათ, ეცვლებათ ხასიათი, განიცდიან, რომ ხმა ძველებურად აღარ უჟღერთ. ამ დროს მნიშვნელოვანია მასწავლებლის გამამხნევებელი საუბარი, მოსწავლისთვის საინტერესო რეპერტუარის შერჩევა.

როგორც ცნობილია, ქართული ენა მჟღერი ენაა. მას თანხმოვნების გამოთქმის კუთხით, ბევრი თავისებურება ახასიათებს. თანხმოვანთა ჯგუფები, სიმღერის დროს, მკაფიოდ და მოკლედ უნდა წარმოითქვას, რათა არ დაიკარგოს სიტყვის შინაარსი. ბავშვის სასიმღერო განვითარების მთავარი ამოცანაა ხმის ბუნებრიობის შენარჩუნება, მუსიკალური სმენის, მეტყველების, რიტმის, სწორი ინტონირების განვითარება.

მუსიკის გაკვეთილები და კერძოდ სიმღერის შესრულება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის მუსიკალურ განვითარებასა და მის პიროვნულ ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. თხილავა მ., (2018): საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2. საგანი მუსიკა. (2022): დაწყებითი საფეხურის გზამკვლევი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განვითარების დეპარტამენტი.

3. https://mastsavlebeli.ge/?p=24367

Magda Tkhilava

Akaki Tsereteli State university

Kutaisi Georgia

magda_tkhilava@yahoo.com

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.28

The role of singing in a childs musical development

Abstract

Singing is one of the main forms of childrens musical activities.In the kindrgarten, thr music teacher participates in the preparation of music lessins together with the educator. Children develop interest in musical activities. Music lessons help develop various skills, musical data enhancement, to fill the vocabulary, developing choral habits, chilren learn the ratio of sounds according to pitch, in dynamics and rhythm. The teacher should be familiar with the childs vocal apparatus and its

features. When performing a song, it is important to involve the whole class in the learning process, regardless of their musical credentials. Besides singing, they should be active in rhytmic movements and musical games.

In children, the articulation apparatus is less mobile, however, as a result of training, the disadvantages are soon corrected. Articulation is highly dependent on the architectural structure of the oral cavity. When working on a song, the turning point is important. During this period, changes occur in both bous and girls. Changes in the voice are related to the growth of the larynx. This process is more difficult in boys than in girls. The period of mutation is characterized by imprecise intonation, hoarseness appears in the voice… During the mutation, it is necessary to observe the regime.

It is important to develop the correct singing breath, which is served by special breathing exsrcises. Cultivating correct breathing habits is one the main factors of quality singing performance. Getting the singing breath right is a difficult process. Attention should be paid to moderate inhalation and good activity of the lower ribs>

Correct pronunciation of words or diction is an inportant component of quality singing, for which we can use torgue twisters in the lesson. They help to improve the articulation of speech organs. The exercises should be done before learning the song, which help develop musical hearing, to focus attention, to bring the voice apparatus to readiness. It is necessary to consider the correct selection of the repertoire, attention should be paid to the age characteristics of the child, which will help to maintain the natural sound of the childs voice, to perform the song exspressively, elimination of speech defects, improve musical hearing, intonation correctly, developing a sense of rhythm…

Music lessons and in particular singing, it plays important role in the musical development of the child, in his personal formation.

Key words: singing, musical development.